



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N85

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მეზვრიაანთკარში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების, გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მეზვრიაანთკარში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების დროულ გადაწყვეტას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის. ამ მიზნით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერი (SPA 150022077) არ შედგა.

ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია მძიმე ვითარება. ხელახალი ელექტრონული ტენდერის ჩატარებას გარკვეული დრო სჭირდება. ზამთრის მოახლოებისა და კლიმატური პირობების მოსალოდნელი გაუარესების გამო, სამუშაოების განხორციელება საფრთხის წინაშე დგება. შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სოფელ მეზვრიაანთკარში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 4 083 (ოთხი ათას ოცდათვრამეტი) ლარზე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი